ანგარიში

ჯანდაცვისა და სოციალური საკითხთა კომისიის მიერ 2017 წლის იანვრიდან პირველი სექტემბრის მდგომარეობით გაწეული მუშაობის შესახებ

მოგახსენებთ, რომ ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისია თავის საქმიანობაში ხელმძღვანელობს კომისიის დებულებით.

საანგარიშო პერიოდში კომისია თავისი უფლებამოსილების ფარგლებში კომისიის სხდომებზე განიხილავდა საკითხებს, რომლებიც საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსით“ განეკუთნება წარმომადგენლობითი ორგანოების კომპეტენციას.

მოგახსენებთ, რომ ჯანდაცვისა და სოციალური დაცვის მიმართულებით 4 ძირითადი და 12 ქვეპროგრამა მოქმედებს და ამ პროგრამების ფარგლებში ეწევათ ბენეფიციარებს დახმარება. სოციალურ მიმართულებაზე, მიმდინარე წლის 1 სექტემბრის მდგომარეობით დახარჯულია 314238 ლარი.

პირველი სექტემბრის მდგომარეობით ბენეფიციალებიდან შემოსულია 1788 განცხადება, დაკმაყოფილდა 1314 ბენეფიციარი, დახარჯულმა თანხამ შეადგინა 266,292 ლ. სტიქიაზე დახარჯულია 18400 ლ. დაკმაყოფილდა 13 ბენეფიციარი, პროგრამებით სხვა ჩარიცხვებზე დახარჯულია 47946 ლარი. სულ საერთო ჯამში როგორც ზემოთ ავღნიშნე დახარჯულია 314238 ლარი.

საკრებულოს ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისია ხელმძღვანელობს 2017 წლის დამტკიცებული გეგმის მიხედვით. წლის განვლილ პერიოდში კომისიის არცერთი სხდომა არ ჩავარდნილა ქვორუმის არ ქონის გამო, კომისიაში არსებობს ორი ქვეკომისია: სოციალური მიმართულებით მოქმედი ჯგუფი და ჯანდაცვის მიმართულებით მომუშავე ჯგუფი. კომისიის წევრები აქტიურად თანამშრომლობენ გამგეობასთან არსებულ შესაბამის სამსახურებთან, რასაც ვერ ვიტყვით კომისიის წევრ თემურაზ კალანდაძეზე, რომელმაც მხოლოდ ერთ სხდომაში მიიღო მონაწილეობა. მიმდინარე წლის განვლილ პერიოდში ჩატარებული გვაქვს 9 სხდომა, რომელ სხდომაზეც განვიხილეთ, მოვისმინეთ და დავგეგმეთ ჩვენი მიმართულებით გასატარებელი ღონისძიებები.

მუნიციპალიტეტში ფუნქციონირებს ა.(ა) ი.პ. „სათნოების სახლი“, რომელიც ემსახურება 68 ბენეფიციარს. სოციალურად დაუცველებ, მზრუნველობამოკლებულ მოხუცებს, ინვალიდებს და მრავალშვილიან ოჯახებს. სექტემბრის ბოლომდე კომისია მოისმენს ინფორმაციას ა(ა)ი.პ. „სათნოების სახლის“ დირექტორის გ. ჩიჩილიძისაგან თუ რა გაკეთდა „სათნოების სახლში“ ბენეფიციარების კვებისა და დასვენების გაუმჯობესების კუთხით.

როგორც, თქვენთვისაა ცნობილი, ცენტრალურ ბიბლიოთეკაში უსინათლოებისათვის ფუნქციონირების ბრაუნის შრიფტის შემსწავლელი კურსები, რისთვისაც 7000 ათასი ლარია

გამოყოფილი დღეისათვის იქ თორმეტი უსინათლო სწავლობს. პირადად ვიმყოფებოდი, დავესწარი მეცადინეობას, გავესაუბრე მათ, ამიხსნეს რომ სწავლება გათვლილია ხუთ თვეზე, ამ დროში კი ყველა ვერ შეძლებს ბრაუნის შრიფტის შესწავლას, ამიტომ მიმაჩნია, რომ ეს პროგრამა მომავალშიც გაგრძელდეს და 2018 წლის ბიუჯეტის შედგენისას ცალკე მუხლად იყოს საჭირო თანხა გამოყოფილი მის დასაფინანსებლად,რაც შეეხება ბორის სკოლა-პანსიონში დღის ცენტრის ფუნქციონირებას აღნიშნული დაწესებულების ხელმძღვანელთან ჰამლეტ ბერაძესთან შეხვედრისას გაირკვა, რომ შენობა კეთილ მოწყობილია, განათლების სამინისტროსთან ყველა საკითხი მოგვარებულია, ახლა მიმდინარეობს რეგისტრაცია სოციალურ სამსახურთან, დღეის მდგომარეობით დარეგისტრირებულია ორი მოსწავლე, დანარჩენის მშობლებთან მიმდინარეობს მუშაობა, როგორც ჰ. ბერაძემ ბრძანა 1 ოქტომბერს გაიხსნება დღის ცენტრი მნიშვნელობა არ აქვს თუ რამდენი მოსწავლე იქნება.

კომისიამ მოისმინა გამგეობის ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა სამსახურის ანგარიში 2016 წლის განმავლობაში გაწეული მუშაობის შესახებ, რომელიც შეფასდა დადებითად. კომისიამ ასევე მოისმინა საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრის და ა(ა)ი.პ. „სათნოების სახლის“ დირექტორების შ.ხიჯაკაძის და გ. ჩიჩილიძის ანგარიში 2016 წელს გაწეული მუშაობის შესახებ, რომელიც შეფასდა დადებითად.

აქტუალურობიდან გამომდინარე მაისის თვეში მოვისმინეთ სურსათის ეროვნული სააგენტოს იმერეთის რეგიონის, ხარაგაულის რაიონული სამართველოს სამსახურის უფროსის გ. კიკალიშვილის ინფორმაცია, ხარაგაულის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სურსათის უვნებლობის მხრივ გატარებული და გასატერებელი ღონისძიებების შესახებ.

კომისია აქტიურად იყო ჩართული გამგეობის ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა სამსახურთან, ახალი პროგრამის რეგულაციების შემოღება დამტკიცებაში.

მოვისმინეთ. გამგეობის სოციალური სამსახურის და საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრის მიერ გაწეული მუშაობა მიმდინარე წლის 6 თვეში.

ამ მოწვევის საკრებულოში ჩვენი კომისია ერთ სხდომას ოქტომბრის თვეში ჩაატარებს და ამით დავასრულებთ მუშაობას. სადაც განვიხილავთ ზამთრის სეზონისათის სოციალურად დაუცველი და ხელმოკლე ოჯახების სათბობით (შეშით) უზრუნველყოფისათის გასატარებელ ღონისძიებებს.

დარჩება განსახილველი ორი საკითხი და ამას ახალი საკრებულო და ახალი კომისია განიხილავს, წინასწარ მინდა მათ უსურვო წარმატებები და ნაყოფიერი საქმიანობა მომავალ საკრებულოში.

კომისიის თავმჯდომარე

გივი ხიჯაკაძე